

EUROPEAN
**PARTNERSHIP FOR
DEMOCRACY**

Netherlands Institute for
Multiparty Democracy

გზამკვლევი

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს
და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ
სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის

მიხეილ მირზიაშვილი
ივანე ჩხიკვაძე

თბილისი
2014

მიხეილ მირზიაშვილი, ივანე ჩხიკვაძე – გზამკვლევი
ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს
და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ
სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის

რედაქტორები: **ლევან ცუცქერიძე**
ირაკლი ქობალაია

ილუსტრაციები **ზაალ სულაკაურის**

დაკაბადონება: **ნიკა ხვედელიძე**

© მიხეილ მირზიაშვილი, ივანე ჩხიკვაძე – გზამკვლევი

© „საუნჯე“, გამომცემელი ვაჟა წონკოლაური

SAUNJE Publishing House, Vazha Tsotskolauri

ISBN 978-9941-451-61-4



სარჩევი

წინასიტყვაობა	5
საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ისტორიული მიმოხილვა 9	
აღმოსავლური პარტნიორობა	13
ევროკავშირის ინსტიტუტები და მათი მუშაობა	18
ასოცირების შესახებ შეთანხმების მომზადების პროცესი	24
სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა	26
ზოგადი პრინციპები	29
პოლიტიკური დიალოგი	31
ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა	35
ეკონომიკური თანამშრომლობა	43
თანამშრომლობის სხვა სფეროები	45
ფინანსური დახმარება	51
ინსტიტუციური და დასკვნითი დებულებები	53
ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მოსალოდნელი შედეგები ...	58
ასოცირების დღის წესრიგი	60
მითები და მცდარი შეხედულებები ევროკავშირის შესახებ.....	62

მცირე ქვეყნები და ევროპა – წინასიტყვაობის ნაცვლად

თუკი მსოფლიოს პოლიტიკურ რუქას შევხედავთ, ერთ საგულისხმო განსხვავებას აღმოვაჩენთ ევროპასა და ყველა სხვა კონტინენტსა თუ რეგიონს შორის. მოგეხსენებათ, ევროპაში ბევრი მცირე სახელმწიფო თანაარსებობს, რომლებიც განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა. ამას მრავალნაირი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. ევროპაში მცირე სახელმწიფოების გადარჩენა და ეკონომიკური წინსვლა, შეიძლება, სხვადასხვა დროს პოლიტიკურ კულტურასა და ტრადიციას, სამხედრო – პოლიტიკურ და ინდუსტრიულ ინოვაციებს, ახალ აღმოჩენებს ან ყველაფერს ერთად გამოენჯია. მრავალ სხვა თვისებასთან ერთად, ევროკავშირს სხვა რეგიონებისაგან კანონზე დამყარებული ქცევის წესები, მრავალპარტიული დემოკრატია და საქმის კეთების ინოვაციური, შემოქმედებითი მოდელიც გამოარჩევს. საუკუნეების განმავლობაში გამოცდილმა კონკურენციამ, კულტურულმა და პოლიტიკურმა რევოლუციებმა ევროკავშირი განვითარების იმ საფეხურზე აიყვანა, სადაც მცირე სახელმწიფოებიც კი წარმატებით ახერხებენ ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის დაცვას, ეკონომიკური განვითარების მიღწევას. მძაფრი გლობალური კონკურენციის პირობებშიც კი, ევროკავშირი ერთ-ერთ ყველაზე სასურველ საცხოვრებელ და სამუშაო რეგიონად რჩება მსოფლიოში. ევროპული სახელმწიფოები აღიარებენ და იცავენ ადამიანზე ორიენტირებულ, შეთანხმებულ და გასაგებ ქცევის წესებს და კონსენსუსზე დაფუძნებული თანამშრომლობის პრინციპებს. რთულმა და წინააღმდეგობრივმა ისტორიულმა გამოცდილებამ ევროკავშირს დაუდასტურა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ პრინციპების დაცვა თვითგადარჩენისა და განვითარებისთვის.

საქართველოს ეროვნული ამოცანა ჩვენი ქვეყნისა და მცირერიცხოვანი ერის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკური განვითარება და საქართველოს მოქალაქეებისათვის ცხოვრებისა და შემოქმედებისთვის საჭირო სამართლიანი, ჯანსაღი და ხელშემწყობი გარემოს შექმნაა. ამა თუ იმ ქვეყანას განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნია მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში. ზოგს მდიდარი ნიაღისეულით თუ ნავთობ მარაგებით შეუძლია დააფინანსოს საკუთარი განვითარება; ზოგიერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობს, ზოგიც იმდენად მრავალრიცხოვანი და დიდია, რომ მისი ეკონომიკისა და მოხმარების მასშტაბი მსოფლიო ეკონომიკის განმსაზღვრელი ფაქტორია. თუმცა ქვეყნები, რომლებიც არც მდიდარი ნიაღისეულით, არც დიდი ფართობით და არც მსოფლიო მასშტაბის სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევიან, მაინც ახერხებენ მათი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და გაღრმავებას, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაღალი დონის მიღწევას. ამას ისინი კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვით, კონსენსუსის კულტურით, ინოვაციისა და ნოვატორობის წახალისებით, კარგი და კომპეტენტური მმართველობის განხორციელებით ახერხებენ. ამის ბევრი მაგალითი სწორედ ევროკავშირში შეიძლება ვნახოთ, თუნდაც ჰოლანდია, სადაც ჩვენი ორგანიზაცია – „ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ – შეიქმნა 2000 წელს. ჰოლანდია ტერიტორიით საქართველოზე პატარაა, თუმცა მისი სოფლის მეურნეობის ექსპორტი მხოლოდ შეერთებულ შტატებს ჩამოუვარდება და მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს. დემოკრატია და კარგი მმართველობა არის ერთადერთი სწორი არჩევანი, განსაკუთრებით მცირე ტერიტორიის და მწირი რესურსების ქვეყნებისთვის.

ამიტომაც, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც საქართველომ 2014 წლის 27 ივნისს გააფორმა, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის შედეგად ქვეყანაში ბევრი სასარგებლო ცვლილება მოხდება, არამედ იმიტომაც, რომ იგი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სწორ გზაზე უფრო მტკიცედ დააყენებს. ეს ყველაფერი კი, დროთა განმავლობაში, პირდაპირ აისახება საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

რა თქმა უნდა, განვითარების გზაზე იქნება ხელშემშლელი ფაქტორები და მოვლენები. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი გარემოება ევროკავშირის შესახებ არსებული მცდარი წარმოდგენები ან თუნდაც ის ტყუილებია, რომლებიც მიზანმიმართულად ვრცელდება საქართველოს ევროპული იდეის დაკნინების და ევროპასთან ასოცირებისათვის ხელის შეშლის მიზნით. ამ პუბლიკაციის მიზანი სწორედ ამ არასწორი წარმოდგენების გაფანტვა და ზუსტი, მართებული ინფორმაციის მიწოდებაა დაინტერესებული ადამიანებისათვის.

ეს გზამკვლევი მათთვისაა, ვისაც აინტერესებს, თუ რა გზა გამოიარა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობამ, როგორ მუშაობს ეს კავშირი და რა საკითხებს ეხება ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება. გზამკვლევის მოკლე, ლაკონური ტექსტები, რომლებიც მიხეილ მირზიაშვილმა და ივანე ჩხიკვაძემ მოამზადეს, ხშირად რთულ და ტექნიკურ საკითხებს მარტივად და გასაგებად გადმოსცემს. ზაალ სულაკაურის ილუსტრაციები კი კითხვას უფრო სახალისოს გახდის.

*ლევან ცუცქერიძე
NIMD წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში*



საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ისტორიული მიმოხილვა

ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის ურთიერთობები ამ უკანასკნელის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ დაიწყო. 1990-იან წლებში ევროგაერთიანება ნაკლებ ყურადღებას უთმობდა სამხრეთ კავკასიას, რადგანაც ეს რეგიონი გეოგრაფიულად მისგან შორს მდებარეობდა და ევროკავშირიც არ იყო გლობალური მოთამაშე. 2004 წელს ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებამ და 2007 წელს მასში რუმინეთისა და ბულგარეთის გაერთიანებამ ევროკავშირი სამხრეთ კავკასიის რეგიონს დაუახლოვა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის კი საზღვაო საზღვარი გაჩნდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება აქტიურად შეეცადა საერთაშორისო პარტნიორებთან კავშირების დამყარებას. ერთ-ერთი ასეთი პარტნიორი ევროგაერთიანება იყო, თუმცა ამ უკანასკნელის მხრიდან საქართველოს მიმართ დიდი ინტერესი არ ჩანდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველი: საქართველოს ევროგაერთიანების შიგნით არ ჰყავდა ბევრი ლობისტი ქვეყანა, მაგალითად, ისეთი, როგორიც გახლდათ ფინეთი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ჩრდილოეთ განზომილების

შექმნის საქმეში, ან ესპანეთი, რომელმაც ხელი შეუწყო ე.წ. „ბარსელონას პროცესის“ შექმნას, რომელიც ევროკავშირის ხმელთაშუაზღვის ქვეყნებთან ურთიერთობას განსაზღვრავდა. მეორე: გეოგრაფიული დაშორების გათვალისწინებით საქართველოში მიმდინარე სისხლიანი კონფლიქტები ევროგაერთიანებისთვის პირდაპირ საფრთხეს არ წარმოადგენდა. მესამე: ევროგაერთიანება არ იყო გლობალური მოთამაშე. ამასთან, ევროპას არ გააჩნდა საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება.

ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომი ეტაპი იყო 1996 წელს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა. ხელშეკრულება 10 წლით იყო გაფორმებული, თუმცა ითვალისწინებდა გაგრძელებასაც. პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას სამი ძირითადი მიზანი გააჩნდა:

- მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისა და ურთიერთობების გაღრმავებისთვის შესაბამისი ჩარჩოს შექმნა;
- საქართველოს მხარდაჭერა დემოკრატიის კონსოლიდირების, ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად;
- ვაჭრობისა და ინვესტიციების მხარდაჭერა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარებისათვის ჰარმონიული გარემოს შექმნა.

ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო ინსტიტუციურ თანამშრომლობას და სამი საერთო ინსტიტუციის, ე.წ. „ინსტიტუციური სამკუთხედის“ ჩამოყალიბებას. ესენი იყო: თანამშრომლობის საბჭო (რომელიც აერთიანებდა მინისტრებს და იკრიბებოდა მინიმუმ წელიწადში ერთხელ); თანამშრომლობის კომიტეტი (აერთიანებდა მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეებს, რომლებიც ამზადებდნენ თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრებს) და საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი, რომელიც პოლიტიკური დიალოგის ფორუმს წარმოადგენდა და თავს უყრიდა ევროპარლამენტისა და


საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს. ყველა ეს ინსტიტუტი ხელს უწყობდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებას.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ერთ-ერთი სუსტი მხარე ის იყო, რომ მასში არასრულყოფილად იყო ასახული საქართველოს შიდა პრობლემები და მათი გადაჭრის ქმედითი მექანიზმები.

საქართველოს ევროინტეგრაციის იდეამ ახალი ძალა 2003 წელს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის დაწყების შემდეგ შეიძინა, რაც მოგვიანებით ევროკავშირ-საქართველოს შორის მჭიდროდ დაახლოების მიზეზი გახდა. ევროპულმა სამეზობლო პოლიტიკამ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის მოდერნიზების, ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების საქმეში. მოგვიანებით, 2008 წელს, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ, საფრანგეთმა, და მისმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ დიდი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებასა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაში. ომის შემდგომ ევროკავშირმა აქტიური ფინანსური დახმარება აღმოუჩინა საქართველოს და კონფლიქტის დასარეგულირებლად ჩამოაყალიბა ევროკავშირის მონიტორინგის მისია, რომელიც დღემდე ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან მონიტორინგს უწევს კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციას. მიუხედავად იმისა, რომ სრულად არ სრულდება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება და მისიას არ აქვს წვდომა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, ამ დრომდე ევროკავშირის მონიტორინგის მისია ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმია, რომელიც კონფლიქტის ზონაში მოქმედებს. ევროკავშირი აქტიურად არის ჩართული კონფლიქტის დარეგულირების პროცესში, რომელიც ჟენევის მოლაპარაკებების სახელით არის ცნობილი.

2009 წლის მაისში ევროკავშირმა დაიწყო აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის განხორციელება, რაც საქართველოს

ევროკავშირთან დაახლოების დამატებით შესაძლებლობებს იძლევა ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნის სახით. 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რაც გარდა პოლიტიკური დაახლოებისა, საშუალებას აძლევს ქართულ პროდუქციას, ყოველგვარი სატარიფო ბარიერის გარეშე მოახერხოს ევროკავშირის ბაზარზე შესვლა.



აღმოსავლური პარტნიორობა (აპ)

აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამა ძალაში შევიდა 2009 წლის 7 მაისს პრალაში გამართულ აღმოსავლური პარტნიორობის პირველ სამიტზე. ჩეხეთის რესპუბლიკამ, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ, პრალაში მიიწვია ლიდერები ექვსი ქვეყნიდან: აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა.

მანამდე, 2008 წლის დეკემბერში, ევროკავშირის ორი წევრი ქვეყნის, პოლონეთისა და შვედეთის აღმოსავლური პარტნიორობის ეს ინიციატივა ევროკომისიამ გამოაქვეყნა სპეციალური კომუნიკაციის სახით, ხოლო 2009 წლის მარტში ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

აღმოსავლური პარტნიორობის სამიტი პრალის (2009წ.) შემდეგ კიდევ ორჯერ გაიმართა. სწორედ უკანასკნელ სამიტზე, ვილნიუსში (2013წ.), ჩვენმა ქვეყანამ (ისე როგორც მოლდოვამ)

2012 წელს ანონსირებული პარტნიორობის საგზაო რუკის შესაბამისად, მოახდინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება.

აღმოსავლური პარტნიორობის ინიციატივა მომწიფდა როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ესპ) განვითარება და აღმოსავლეთ ევროპაში ესპ-ს მიღწევების გაძლიერება. ესპ ინიცირებული იყო 2004 წელს და გავრცელდა ჩრდილოეთ აფრიკისა და აღმოსავლეთ ევროპის 16 ქვეყანაში. საქართველო ესპ-ს ნაწილი 2006 წელს გახდა. ინიციატივა პირველად ევროპულ საბჭოში განიხილეს 2008 წლის ივნისში, თუმცა, პროცესი დააჩქარა რუსეთის პოლიტიკამ აღმოსავლეთ ევროპაში, და კერძოდ, 2008 წელს საქართველოში შემოჭრამ. ევროკავშირში ჩათვალეს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის განვითარების პროცესი მეტ სოლიდარობას მოითხოვდა.

მიუხედავად აღმოსავლურ პარტნიორობაში საბოლოო ერთიანი პოლიტიკისა, ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანა ინიციატივას განსხვავებულად უყურებდა. გეოგრაფიული სიახლოვის გამო ინიციატივისადმი მეტ ინტერესს იჩენდნენ აღმოსავლური პარტნიორობის უშუალო მეზობლები, თუმცა რუმინეთსა და ბულგარეთში თვლიდნენ, რომ ახალ ინიციატივას შეეძლო დაესუსტებინა ადრე არსებული სხვა რეგიონული ინიციატივები: „პარტნიორობისა და დიალოგის შავი ზღვის ფორუმი“ და „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია“. გერმანიასა და საფრანგეთს არ სურდათ, რომ აღმოსავლური პარტნიორობის ინიციატივა გამოჩენილიყო როგორც ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა. ამგვარ პერსპექტივას, როგორც ესპ-ს განვითარებას, მოითხოვდა უკრაინა.

რუსეთი უარყოფითად შეხვდა აღმოსავლური პარტნიორობის ინიციატივას. მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, პუტინმა, ინიციატივა შეაფასა როგორც ევროპელთა არამეგობრული მცდელობა ალყაში მოაქციოს რუსეთი. ეს იყო პოლიტიკის ცვლილების მნიშვნელოვანი განაცხადი რუსეთისგან, რომელიც მანამდე ნეგატიურად იყო განწყობილი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების ნატოსთან დაახლოებისადმი, მაგრამ ლოიალობას იჩენდა ამ ქვეყნების ევროკავშირთან თანამშრომლობისადმი.

აღმოსავლური პარტნიორობის მიზანია მონაწილე ქვეყნებისა და ევროკავშირის:

- პოლიტიკური ასოციაცია;
- ეკონომიკური ინტეგრაცია;
- მობილურობა, ანუ მოქალაქეთა და ტვირთების გადაადგილების გამარტივება;
- სექტორული (დარგობრივი) თანამშრომლობის გაღრმავება.

მხარეთა შეთანხმებით ეს მიზნები მიიღწევა საყოველთაოდ აღიარებულ შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

დემოკრატია და კანონის უზენაესობა;
ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა;
საბაზრო ეკონომიკის ერთგულება.

აღმოსავლური პარტნიორობა გულისხმობს თანამშრომლობას როგორც საქართველოსა და ევროკავშირის შორის, ისე მრავალმხრივ თანამშრომლობასა და გამოცდილების გაცვლას სხვა მონაწილე ექვს ქვეყანასთან.

აღმოსავლური პარტნიორობის ფარგლებში საქართველო – ევროკავშირის (ეკ) ორმხრივი თანამშრომლობის სპეციფიკურობა განპირობებულია ევროკავშირისათვის სამხრეთ კავკასიის ზოგადი პოლიტიკური როლით და ასევე თავად საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესით. ეკონომიკური ასპექტით, ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანია წვდომა კასპიისა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსებზე, სამხრეთ კავკასიაზე და, კერძოდ, საქართველოზე გამავალი ენერგეტიკული კორიდორის მეშვეობით.

ამ ინიციატივით საქართველოსათვის ევროკავშირთან ორმხრივი თანამშრომლობა მოიცავდა ექვს ასპექტს:

- ახალი სახელშეკრულებო ურთიერთობა;
- ევროკავშირის ეკონომიკაში ინტეგრაცია;

- ევროკავშირში მოგზაურობის გამარტივება;
- ენერგეტიკული და სატრანსპორტო თანამშრომლობა;
- ეკონომიკური და სოციალური განვითარება;
- ფინანსური მხარდაჭერა

აღსანიშნავია, რომ საქართველოში კონფლიქტის დარეგულირების თემა, რომელიც ასახული იყო ესპ-ს ტექსტში, აღმოსავლური პარტნიორობის სფეროში არ შედის.

ამასთან, 2008 წლის შემდგომ თავად ევროკავშირი უფრო მეტადაა ჩართული ჩვენი ქვეყნის კონფლიქტების მოგვარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ეს, ერთი მხრივ, ევროკავშირისათვის უპრეცედენტოდ სწრაფად გაშლილი და დღემდე მოქმედი ევროკავშირის სამონიტორინგო მისიაა, მეორე მხრივ ეკ-ს ჩართულობა ჟენევის პროცესში, რომელიც ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა და მხარეთა შორის უსაფრთხოების საკითხებზე მოლაპარაკების ერთადერთი ფორმატია რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ.

აღმოსავლურ პარტნიორობაში, ესპ-სგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი სიახლეა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ფორმალიზება. ამ ჩართულობის ინსტიტუციონალიზაციაა აღმოსავლური პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, რომელიც ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო ორგანიზაციებს მჭიდრო თემატური თანამშრომლობის საშუალებას აძლევს. ფორუმი სამოქალაქო საზოგადოების თვითმართვადი სტრუქტურაა. შეხვედრა წელიწადში ერთხელ იმართება, ფორუმებს შორის საქმიანობას განაგებს მმართველი კომიტეტი სამდივნოს მხარდაჭერით. წლის განმავლობაში მუშაობს ფორუმის ხუთი სამუშაო ჯგუფი. საქართველოში, სხვა პარტნიორი ქვეყნების მსგავსად, საქმიანობს სამოქალაქო ფორუმის ეროვნული პლატფორმა.


აღმოსავლური პარტნიორობის რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებათა წარმომადგენლების კონფერენციაზე¹ საქართველო წარმოდგენილია ადგილობრივ თვითმმართველობათა

¹ <http://cor.europa.eu/en/activities/corleap/Pages/corleap.aspx>.

ეროვნული ასოციაციით. კონფერენცია ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების თანამშრომლობას რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, აღმოსავლური პარტნიორობის ფარგლებში, ხორციელდება პარტნიორ ქვეყანათა ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პროექტი East Invest. პროექტს საქართველოში კოორდინაციას უწევს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და საქართველოს დამსაქმებელთა ბიზნესასოციაცია.


აღმოსავლურმა პარტნიორობამ განამტკიცა პარტნიორი ქვეყნების კანონმდებელთა თანამშრომლობა. საპარლამენტო თანამშრომლობის ორგანიზაცია „ევრონესტი“ 2011 წლის მაისში შეიქმნა ევროპარლამენტისა და პარტნიორობის ქვეყნების (აპ) პარლამენტების მონაწილეობით.



ევროკავშირის ინსტიტუტები და მათი მუშაობა

ევროკავშირის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში უდიდეს როლს ასრულებენ ევროკავშირის ინსტიტუტები: **ევროკომისია, ევროკავშირის საბჭო, ევროპული საბჭო, ევროპის პარლამენტი, ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური.**

ევროკომისია წარმოადგენს ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს და იგი შედგება 28 ევროკომისიისაგან. ამ ეტაპზე ევროკავშირის თითოეულ წევრ ქვეყანას ერთი ევროკომისიარი ჰყავს. კომისრებს ევალებათ იმოქმედონ არა წევრი ქვეყნების, არამედ ევროკავშირის ინტერესების შესაბამისად. უფრო ფართო გაგებით, ევროკომისია არის ევროკავშირის დაახლოებით 20 ათასი მოხელისაგან შემდგარი ადმინისტრაციული აპარატი, რომელთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ევროკავშირის ყოველდღიურ საქმიანობაში. ევროკომისიას მინიჭებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხების გარდა, სხვა სტრატეგიულ სფეროებში, ისეთებში, როგორებიცაა მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსაც აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება). როგორც „ხელშეკრულებების ზედამხედველი“, ევროკომისია ასევე აკონტროლებს იმას, თუ რამდენად ასრულებენ წევრი ქვეყნები ევროკავშირის კანონმდებლობას. ევროკომისია ადგენს ევროკავშირის ბიუჯეტის პროექტებს (მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩო და ყოველწლიური ბიუჯეტი) და განკარგავს ბიუჯეტის 97%. ევროკომისია კურიერებს ევრო-




კავშირის საგარეო ურთიერთობების საკითხებს: მოლაპარაკებები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ; მოლაპარაკებების წარმოება ევროკავშირის გაფართოებაზე. ევროკომისიის მუშაობაში დიდ როლს თამაშობს მისი ტექნიკური ექსპერტიზა. გარკვეულწილად, მას შეუძლია ახალი საკითხების ინიცირება (მაგალითად, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კლიმატური ცვლილებები და სხვა).

ევროკავშირის საბჭო თავს უყრის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს სხვადასხვა დონეებზე. ის ჰიბრიდული ინსტიტუტია, რადგანაც გააჩნია როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი უფლებამოსილებები. საბჭო არის ევროკავშირის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. ევროკავშირის მთელი კანონმდებლობა, ევროკავშირის ბიუჯეტის ჩათვლით, მის ხელში გადის. ის არის ევროკავშირის ინსტიტუციური სამკუთხედის (ევროკომისია, ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი) ყველაზე გავლენიანი წევრი. წევრი ქვეყნების მინისტრების დონეზე საბჭო იკრიბება 9 სტრუქტურული ერთეულის სახით (ზოგადი საკითხების საბჭო; ეკონომიკისა და ფინანსების საბჭო; მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა საბჭო; დასაქმების, სოციალური პოლიტიკის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა საკითხების საბჭო; კონკურენციის საკითხთა საბჭო; ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და ენერგეტიკის საბჭო; გარემოს დაცვის საბჭო; სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის საბჭო; განათლების, ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის საბჭო.). საბჭო ასევე იკრიბება სხვა სტრუქტურული ერთეულის სახითაც. ეს არის საგარეო საქმეთა საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში. საბჭოს მოსამზადებელი სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოა მუდმივი წარმომადგენლობის კომიტეტი (COREPER), რომელიც ორი სხვადასხვა შემადგენლობით ათანხმებს საბჭოს დღის წესრიგის ყველა საკითხს (კანონმდებლობა, ხელშეკრულებები, საგარეო პოლიტიკა) და ამზადებს საბჭოს შეხვედრებს მინისტრების დონეზე. საბჭოში საკითხთა უდიდესი უმრავლესობა მიიღება ხმების კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით (თუმცა საგარეო პოლიტიკის ან გადასახადების ჰარმონიზაციის საკითხების შემთხვევაში – ერთხმად). იმისათვის, რომ დაცული იქნას მცირე ქვეყნების ინტერესი, გადანყვეტილების მიღება ეფუძნება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის მეთოდს და გამოიყენება ორმაგი უმრავლესობის პრინციპი: საკითხის გადანყვეტა ხდება წევრი ქვეყნების 55%-ის მიერ (ამჟამად ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნიდან – 15) რომელიც უნდა წარმოადგენდეს ევროკავშირის მოსახლეობის 65%-ს. საკითხის დაბლოკვა შეუძლიათ ევროკავშირის მინიმუმ 4 წევრ ქვეყანას. ევროკავშირის საბჭოს უფლებამოსილებების ფარგლებში საკანონმდებლო აქტების მიღების, ზოგადი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების, საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებისა და ევროკავშირის ბიუჯეტის განხილვის გარდა, საბჭო, ასევე, კოორდინირებას უწევს წევრი ქვეყნების ეროვნულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

ევროპული საბჭო ხშირად შეცდომით გაიგივებულია ევროკავშირის საბჭოსთან. მართალია, ეს ორი საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს, მაგრამ მათი მიზნები და როლები განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული საბჭო დღესდღეობით მართლაც არის ევროკავშირის ინსტიტუტი, ის ძირითადად ასრულებს წევრი ქვეყნების მეთაურებისა (პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი მოცემული ქვეყნის კონსტიტუციური წყობიდან გამომდინარე) და საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტის როლს. ევროკომისია ასევე მონაწილეობს ევროპული საბჭოს მუშაობაში. ევროპული საბჭო ასრულებს პლატფორმის როლს წევრი ქვეყნების უმაღლესი რანგის წარმომადგენლებს შორის გამართული კონსულტაციებისა და ევროპული ინტეგრაციის პროექტის საჭირობოტო



და მნიშვნელოვანი სამომავლო გეგმების შესახებ დებატების უზრუნველსაყოფად. ზოგადად, ევროპულ საბჭოში არ გამოიყენება კენჭისყრის რომელიმე სისტემა (გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), გადაწყვეტილების მიღება ხდება კონსენსუსის გზით. ევროპული საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებულია ლისაბონის ხელშეკრულებით (2,5 წლით, მაქსიმუმ ორი ვადით) და მისი ძირითადი ფუნქციაა ევროპული საბჭოს სხდომების მომზადება. ევროპულმა საბჭომ პირველ პრეზიდენტად აირჩია ჰერმან ვან რომპეი (მისი პირველი ვადა ამოიწურა 2012 წლის 31 მაისს). პრეზიდენტს ირჩევს ევროპული საბჭო ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით. ევროპულ საბჭოს არ გააჩნია ნორმატიული აქტების მიღების უფლება, თუმცა წარმოადგენს ევროკავშირის ლიდერთა შეხვედრების პლატფორმას. აქ ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს ზოგად პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, მიმართულებებსა და ძირეულ ინიციატივებზე. მიუხედავად ამისა, ევროპულ საბჭოს შეუძლია, არაოფიციალურად დავალებები მისცეს ევროკომისიასა და ევროკავშირის საბჭოს, რასაც ის ხშირად აკეთებს კიდევ. ევროპული საბჭო ხშირად განიხილავს კომპლექსურ და მგრძნობიარე საკითხებს. 2011 წელს, მაგალითად, მისი დისკუსიების უდიდესი ნაწილი ევროკავშირის ეკონომიკური მმართველობის გაძლიერებასა და ევროპის საბანკო კრიზისის დაძლევის მცდელობას დაეთმო. ევროპული საბჭოს სხდომები დახურულ კარს მიღმა იმართება.

ევროპის პარლამენტი – ევროპის პარლამენტი 751 წევრს ითვლის და მსოფლიოში ყველაზე დიდი დემოკრატიულად არჩეული

პარლამენტი. ის ევროკავშირის ერთადერთი პირდაპირი წესით არჩეული ინსტიტუტია (პირველი პირდაპირი არჩევნები 1979 წელს ჩატარდა), რაც ამაღლებს მის ლეგიტიმურობას, თუმცა ეს ლეგიტიმურობა ხშირი დავების საგნად იქცა ევროპის პარლამენტის არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობის დაბალი პროცენტული მაჩვენებლისა და ეროვნული საკითხების დომინირების გამო. ევროპული პარლამენტის დანიშნულებაა, წარმოადგინოს ევროკავშირის მოქალაქეების ინტერესები. იგი არის ევროკავშირის ყველაზე ღია ინსტიტუტი ადვოკატირებისა და აქტიური ჩართულობის თვალსაზრისით. თუმცა, ეს ინსტიტუტი ყველაზე სუსტი რგოლია ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის. მიუხედავად დროთა განმავლობაში მისი უფლებამოსილებების გაძლიერებისა (მაგალითად, ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ), ევროპარლამენტის გავლენა ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე ეს მის წევრებს სურთ. ევროპის პარლამენტის მუშაობა ხორციელდება კომიტეტებისა და პლენარული სხდომების მეშვეობით. ევროპის პარლამენტი ევროკავშირის ყველაზე პოლიტიზირებული ორგანოა პარტიული პოლიტიკის თვალსაზრისით. ის მოწყობილია საკუთარი წევრებისა და არჩეული პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით. ევროპის პარლამენტში თავს იყრიან მწვანეები, სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები, ქრისტიან-დემოკრატები, კონსერვატორები, რეფორმისტები და უკიდურესი მემარჯვენეები.

ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური – ლისაბონის ხელშეკრულებამ ბიძგი მისცა ევროპის საგარეო ურთიერთობის სამსახურის ჩამოყალიბებას. იგი პრაქტიკულად ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური კორპუსის ფუნქციას ასრულებს; ამასთან, ახორციელებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას და მუშაობს საგარეო პოლიტიკისა და წარმომადგენლობის სხვა სფეროებშიც. ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური ექვემდებარება და დახმარებას უწევს უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში. გარდა ამისა, მას მოეთხოვება ევროსაბჭოს პრეზიდენტისა და კომისიის პრეზიდენტის მხარდაჭერაც.

ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურმა სრული დატ-

ვირთვით მუშაობა 2010 წელს დაიწყო. ის თანამშრომლობს ნევრი ქვეყნების დიპლომატიურ სამსახურებთან და თავს უყრის გენერალური სამდივნოსა და ევროკავშირის საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტების მოხელეებს, ისევე, როგორც ეროვნული დიპლომატიური სამსახურების დამხმარე კადრებს. უმაღლესი წარმომადგენლისათვის დახმარების განევა ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ძირითადი ფუნქციაა. რეალურად, ეს განსაზღვრავს ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მუშაობის ზუსტ მასშტაბებს. უმაღლეს წარმომადგენელს უწყებებსა და ინსტიტუტებთან მუდმივი კონტაქტი სჭირდება, თუმცა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა რიგ ასპექტებზე ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურს ხელი არ მიუწვდება. ისეთი საკითხები, როგორებიცაა გაფართოება და ევროპის სამეზობლო სტრატეგია, კომისიის პასუხისმგებლობის ქვეშ არის, თუმცა ნაწილობრივ მაინც ექვემდებარება უმაღლეს წარმომადგენელს, როგორც კოორდინატორს, რომელიც, ამავდროულად, კომისიის ერთ-ერთი ვიცეპრეზიდენტია. უმაღლესი წარმომადგენელი და ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური ახორციელებენ სტრატეგიებს, რომლებიც შეთანხმებულია ნევრი ქვეყნებსა და ევროკავშირის საბჭოსთან. ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური ამ შეზღუდვების ფარგლებში მოქმედებს. ევროპის საგარეო პოლიტიკის დელეგაციების (ევროკავშირის დელეგაციები) როლი ტრადიციული ეროვნული საელჩოების როლის მსგავსია. ისინი განლაგებულია მესამე ქვეყნებში, ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების სათაო ოფისებში, მაგალითად, გაეროს ოფისებში ნიუ-იორკსა და ჟენევაში. ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, დელეგაციების ფუნქცია პოლიტიკური და ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვება და ანალიზია (მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება). გარდა ამისა, ისინი ასრულებენ შუამავლის როლს მესამე ქვეყნების მთავრობებსა და ევროკავშირის შორის, უზრუნველყოფენ მესამე ქვეყნებთან მოლაპარაკებებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას, უტარებენ კონსულტაციებს ევროკავშირის მოხელეებს მასპინძელი ქვეყნების თანამდებობის პირებთან შეხვედრამდე და სხვა.




ასოცირების შესახებ შეთანხმების მომზადების პროცესი

სრული დასახელება – „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკება 2010 წელს დაიწყო და ამ პროცესს საფუძველი აღმოსავლური პარტნიორობის ინიციატივამ ჩაუყარა. 2011 წელს მოლაპარაკებების თემებს დაემატა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტი. სწორედ ეს კომპონენტი თვისობრივად განასხვავებს ამ შეთანხმებას 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებისაგან, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში, როგორც საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ჩარჩო დოკუმენტი. მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერება ასოცირების შესახებ შეთანხმებას, იგი, როგორც მხარეებს შორის სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტი, მთლიანად ჩაანაცვლებს „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“.

2013 წლის ივლისში დასრულდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის მოლაპარაკება ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე და იმავე წლის ნოემბერში, ვილნიუსში, აღმოსავლური პარტნიორობის სამიტის ფარგლებში მოენციო დოკუმენტის პარაფირების საზეიმო ცერემონია.

შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილზე მოსალაპარაკებლად მხარეებმა გამართეს 15 პლენარული სესია და კიდევ ექვსი შეხვედრა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის საკითხებზე. ქართული მხრიდან მოლაპარაკებას კოორდინაციას უწევდა საგარეო საქმეთა სამინისტრო (მთავარი მომლაპარაკებელი იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი, მოლაპარაკება დაიწყო თორნიკე გორდაძემ) და დარგობრივ საკითხებზე მოლაპარაკებებში ჩართული იყო ყველა სამინისტრო. ევროკავშირის მხრიდან, როგორც მთავარი მომლაპარაკებელი, ჩართული იყო გუნარ ვიგარდი, რომელიც ევროპულ საგარეო ქმედებათა სამსახურში (EEAS) ხელმძღვანელობს რუსეთის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური აზიის, რეგიონული თანამშრომლობისა და ეუთოს ქვეყნების მიმართულებას.



სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა

2009 წელს მოხდა აღმოსავლური პარტნიორობის (აპ) პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინსტიტუციონალიზაცია. ამ წელს პრალის სამიტზე ჩამოყალიბდა აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების² ფორუმი და ნოემბერში ბრიუსელში გაიმართა ფორუმის პირველი შეხვედრა.

აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნების სამოქალაქო ფორუმის კვალად, ჩვენს ქვეყანაში, ჩამოყალიბდა აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა.³

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (ან არასამთავრობო ორგანიზაციების) განვითარებას ხელი დასავლურმა ფონდებმა შეუწყვეს. ამდენად, საქართველო – ევროკავშირის ურთიერთობებში სამოქალაქო საზოგადოების

² <http://www.eap-csf.eu>.

³ <http://eapnationalplatform.ge/index.php?a=main&pid=309&lang=geo>.

ჩართულობაც მნიშვნელოვანწილად ევროკავშირის მხარდაჭერით ხდებოდა და უშუალოდ, ქართული ორგანიზაციების ან ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. ევროკავშირის ეგიდით საქართველოში ასეთი პროექტები 1999 წლიდან მოყოლებული ხორციელდება, მას მერე, რაც ძალაში შევიდა 1996 წელს ლუქსემბურგში ხელმოწერილი საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო, თვისობრივად განსხვავებული, 2005 წლის ქართული სამოქალაქო ინიციატივა, რომელიც გულისხმობდა საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკისათვის (ესპ) რეკომენდაციების შემუშავებასა და უკვე მომდევნო, საიმპლემენტაციო წლებში, ესპ-ს აღსრულების მონიტორინგს.

ამ ამოცანის შესასრულებლად ჯერ კიდევ საქართველოს ესპ-სათვის ტექსტის შემუშავების ეტაპზე, უკრაინის გამოცდილების გამოყენებით, სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებისაგან შეიქმნა ხუთი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოიცვა ესპ-ს რვავე პრიორიტეტული სფერო. შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინათ როგორც საქართველოს შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს, ისე ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში. ესპ-ში, აღმოსავლური პარტნიორობისაგან განსხვავებით, არ იყო ფორმალიზებული სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საქართველო-ევროკავშირის მოლაპარაკებაში. მიუხედავად ამისა, მხარეების (საქართველო-ევროკავშირი) განცხადებით, საქართველოს ესპ-ს ტექსტში გაითვალისწინეს სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები. 2006 წელს საქართველოს ესპ-ს ინაუგურაციის შემდეგ სამოქალაქო სექტორის სამუშაო ჯგუფები ყოველწლიურად ამზადებდნენ და წარადგენდნენ ესპ-ს განხორციელების ანგარიშს და სამომავლო რეკომენდაციებს, მათ შორის ბრიუსელში, ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებში.

ჩართულობის ამ პროცესმა გვაჩვენა, რომ კარგად ორგანიზებული მუშაობისა და კვალიფიციურად მომზადებული რეკომენდაციების შემთხვევაში სამოქალაქო სექტორს შეუძლია გავლენა

იქონიოს ქვეყნის ევროინტეგრაციის პოლიტიკაზე. სავარაუდოა, რომ სამოქალაქო აქტივობის ამგვარმა წარმატებამ განაპირობა მოგვიანებით აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ფორმალიზაცია.

ქართული უფლებების დამცავი

ქართული კონვენცია 1995

ქართული კონვენცია 1995

ქართული კონვენცია



ზოგადი პრინციპები

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთნაირად სავალდებულოა ხელისმომწერი ორივე მხარისათვის – საქართველოსა და ევროკავშირისათვის. ესაა შეთანხმება ორ თანასწორ მხარეს შორის.

შეთანხმების ზოგად ნაწილში მხარეები თანხმდებიან, პატივი სცენ დემოკრატიულ პრინციპებს, ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს, ისე, როგორც ეს განსაზღვრულია გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით (1948წ), ევროპული კონვენციით (1950წ), ჰელსინკის დასკვნითი აქტითა (1975წ) და პარიზის ქარტიით (1990წ); იხელმძღვანელონ ამ დოკუმენტებით როგორც შიდა, ისე საგარეო ურთიერთობებში; დაიცვან მასობრივი განადგურების იარაღის გაუფრცხვანებლობის პრინციპები.

შეთანხმება მხარეებს ავალდებს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მულტილატერალიზმის ერთგულებას.

კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, კორუფციისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გზით მხარეები ზრუნავენ რეგიონული მშვიდობისა და სტაბილურობისათვის, ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.



პოლიტიკური დიალოგი

ასოცირების შესახებ შეთანხმებაში პოლიტიკური დიალოგის მიზანია საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ეფექტურობის გაზრდა საგარეო, უსაფრთხოებისა და შიდა რეფორმების საკითხებში:

- მხარეთა დაახლოება პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში;
- ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება;
- კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება;
- საერთაშორისო სტაბილობა და უსაფრთხოება;
- კრიზისების მართვა;
- მასობრივი განადგურების იარაღის გაუფრცელებლობა;
- რეგიონული (ევროპის კონტინენტი) უსაფრთხოება;
- დემოკრატიის გაღრმავება, კანონის უზენაესობა და უმცირესობათა უფლებების დაცვა;
- თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში;
- რეგიონული თანამშრომლობის ნახალისება;
- ევროპასთან ასოცირების სიკეთეთა ხელმისაწვდომობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა

საქართველო და ევროკავშირი თანხმდებიან, გაამყარონ დემოკრატიული ინსტიტუტები და კანონის უზენაესობა, გააღრმავონ სასამართლოსა და საჯარო სამსახურის რეფორმა; მოახდინონ გაეროს 2003 წლის კონვენციის „კორუფციის წინააღმდეგ“ სრული განხორციელება.

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

საქართველო და ევროკავშირი ორმხრივი და საერთაშორისო ფორმატების გამოყენებით დაახლოებენ უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას, რომელიც მოიცავს კონფლიქტების პრევენციასა და მათ მშვიდობიან მოგვარებას, იარაღის გავრცელების კონტროლსა და განიარაღებას. გაეროს წესდებისა და ჰელსინკის 1975 წლის დასკვნითი აქტის პრინციპებზე დაყრდნობით, აღიარებენ ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრის ურღვევობას, სუვერენიტეტსა და მასპინძელი ქვეყნის სურვილის უზენაესობას საკუთარ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარების განლაგების შესაძლებლობის შესახებ.

საერთაშორისო მნიშვნელობის მძიმე დანაშაული

საქართველო და ევროკავშირი თანხმდებიან, რომ მიიღებენ ყველა ზომას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რათა არ დარჩეს დაუსჯელი საერთაშორისო მნიშვნელობის მძიმე დანაშაული. მიაჩნიათ, რომ ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან თანამშრომლობა, ამ სასამართლოს სტატუტისა და სხვა თანმდევი დოკუმენტებით განსაზღვრული პრინციპების განხორციელება.

კონფლიქტების პრევენცია და კრიზისების მართვა

საქართველო და ევროკავშირი მჭიდროდ ითანამშრომლებენ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და პრევენციისათვის, მათ შორის ევროკავშირის სამოქალაქო და სამხედრო კრიზისების მართვის ოპერაციებში სპეციალური მინვესტის საფუძველზე.

რეგიონული სტაბილობა

საქართველო და ევროკავშირი, ერთობლივი ძალისხმევით, ხელს შეუწყობენ რეგიონში კონფლიქტების მოგვარებას და წაახალისებენ მხარეთა შორის თანამშრომლობას, რათა დამყარდეს სტაბილობა, იმატოს უსაფრთხოებამ და დემოკრატიამ. მხარეები დაეყრდნობიან საერთაშორისო ურთიერთობების აღიარებულ პრინციპებს და გამოიყენებენ „აღმოსავლურ პარტნიორობას“, როგორც მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოს.

კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება

საქართველო და ევროკავშირი ადასტურებენ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ვალდებულებას, საქართველოს სუვერენიტეტის დაცვით. მზადყოფნას გამოთქვამენ, ითანამშრომლონ კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და საზოგადოებათა შერიგების საქმეში „არაღიარებისა და ჩართულობის“ დეკლარებული პრინციპების დაცვით. ითანამშრომლებენ დევნილთა და ლტოლვილთა ღირსეული დაბრუნებისათვის. 2008 წლის აგვისტოს „ექვსპუნქტიანი შეთანხმების“ სრული აღსრულებისათვის. გააძლიერებენ შეთანხმებულ მუშაობას მოლაპარაკებათა არსებული ფორმატის მხარდასაჭერად.

მასობრივი განადგურების იარაღი

მიიჩნევენ რა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას საერთაშორისო სტაბილობისათვის მნიშვნელოვან საფრთხედ, ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებენ, მიუერთდნენ საერთაშორისო ინიციატივებს და შექმნან გაუვრცელებლობის/კონტროლის საიმედო ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები. მხარეები ადასტურებენ, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა შეთანხმების არსებითი ელემენტი და პოლიტიკური დიალოგის თემაა.

მცირე და მსუბუქი შეიარაღებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების ექსპორტის კონტროლი

საქართველო და ევროკავშირი ერთიანი ძალისხმევით შეეცდებიან, აღმოფხვრან მცირე და მსუბუქი შეიარაღებითა და

საბრძოლო მასალებით უკანონო ვაჭრობა. ამ საქმეში იხელმძღვანელებენ გაეროს შესაბამისი სამოქმედო პროგრამით. ხოლო, ჩვეულებრივი შეიარაღების ექსპორტის კონტროლის შემთხვევაში, ევროკავშირის საბჭოს წესებით 2008/944/CFSP, რომელიც აწესებს რეგლამენტს სამხედრო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის ექსპორტის საკონტროლოდ.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველო და ევროკავშირი თანხმდებიან თანამშრომლობაზე ტერორიზმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საერთაშორისო კონვენციებზე დაყრდნობითა და კანონის უზენაესობის პრინციპით. ასევე, შეიტანენ საკუთარ წვლილს საერთაშორისო დონეზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის საკითხში კონსენსუსის მისაღწევად.



ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა


ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

მხარეები ქმნიან თავისუფალ სავაჭრო ზონას, რომელიც მოქმედებს ამ შეთანხმების დებულებებისა და „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების“ შესაბამისად. შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე მხარეები აუქმებენ მეორე მხარის პროდუქციაზე ყველა სახის საბაჟო გადასახადს. გარკვეული სახეობის პროდუქციაზე დაშვებულია სამი სახის გამონაკლისი:

- დათქმული კვოტის გადაჭარბების შემთხვევაში განბაჟება მოხდება ვაჭრობის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმში;
- ბაზარზე შესვლის გადასახადი, რომელიც გათანაბნორებულია ევროკავშირის შიდა მოსაკრებელთან;
- გაყალბების სანინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული პროდუქტების კვოტირება.

ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მხარეები განაგრძობენ კონსულტაციას საბაჟო ტარიფების შემდგომი ლიბერალიზაციისათვის.

მხარეები უზრუნველყოფენ, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების ჯამი არ აჭარბებდეს მომსახურების ფასს, არ შეიცავდეს შიდა ბაზრის დაცვის ფარულ მექანიზმს ან ფისკალური მიზნით იმპორტ-ექსპორტის დაბეგვრას. მხარეები თანხმდებიან მექა-



ნიზმზე, რომელიც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ თანამშრომლობას და დაძლევს შესაძლო ხარვეზებს.

შეთანხმება არ ზღუდავს მხარეებს საბაჟო კავშირების, ვაჭრობის თავისუფალი ზონებისა ან/და საზღვრისპირა ვაჭრობის მექანიზმების შექმნაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება შეთანხმების პრინციპებს. მისი მიზანია, საქართველოსთვის შეასრულოს არასრული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ფუნქცია, ევროკავშირის სტანდარტებთან და პროცესებთან დაახლოებისათვის.

აღნიშნული თემები განისაზღვრება ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის კომპეტენციად.

მხარეები თანხმდებიან ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომების სამართლიანად, გამჭვირვალედ და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გატარებაზე. ამ მიზნით მხარეები ცვლიან ინფორმაციას და მართავენ კონსულტაციებს.

საქართველოს ევროკავშირის ჰორიზონტულ პრინციპებთან დაახლოების მიზნით, მხარეები თანამშრომლობენ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასებების სფეროებში. ამასთან, მაგალითად, ეტიკეტირება, არ შეიძლება გახდეს ვაჭრობისათ-

ვის დამატებითი ბარიერი, ლიცენზირების ან დამტკიცების სხვა ფორმის საგანი; საკმარისია მხრეების შეთანხმება ეტიკეტირების ფორმაზე და ნიშანდების მოთხოვნების საჭირო მინიმუმზე. მას შემდეგ, რაც მიიღწევა აღნიშნულ სფეროებში დაახლოება, მხარეები შეძლებენ შეთანხმდნენ სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის შეფასებასა და აღიარებაზე. ეს, შესაძლებელს გახდის საქართველოსთვის, შეთანხმებით გათვალისწინებული პროდუქტებით ვაჭრობას იმავე პირობით, რაც განსაზღვრულია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის.

შეთანხმება გულისხმობს საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული სისტემის ევროკავშირის სისტემასთან დაახლოებას, ამასთან, საქართველო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში ევროკავშირს წარუდგენს განსახორციელებელ ღონისძიებათა დროში განერილ სიას.

მხარეები თანხმდებიან სავაჭრო მიზნით ცხოველთა დაავადებების, ცხოველებში ან მავნებლებში ინფექციების მდგომარეობის აღიარების წესებზე. ამასთან, ხელშეკრულების დანართში მოცემულია იმ დაავადებათა და მავნებელთა სია, რომელთა მდგომარეობის შესახებ ურთიერთშეწყობინებასაც კისრულობენ მხარეები. ამ ურთიერთობებში მხარეები ცნობენ რეგიონალიზაციის/ზონირების, მავნებლებისგან თავისუფალი ზონების (PFA) და დაცული ზონების (PZ) კონცეფციას, როგორც ეს მოცემულია სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 1997 წლის მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციასა და ფიტოსანიტარული ზომების საერთაშორისო სტანდარტებში (ISPM) და დაცული ზონების 2000/29/EC დირექტივის მიხედვით, რომლის შესრულებაზეც ისინი თანხმდებიან ერთმანეთში ვაჭრობის მიზნით. ასევე, შეთანხმებაში განერილია ვაჭრობის პირობები ეკვივალენტურობის აღიარებამდე და მის შემდეგ.

მხარეები თანხმდებიან ცხოველთა და მცენარეთა ჯანდაცვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლის, კონსულტაციებისა და კომუნიკაციის რეგლამენტზე. ასევე, სერტიფიცირებისა და დამოწმების პროცედურებზე.

იმპორტირებული საქონლის შემოწმება რეგლამენტირებულია და შემოწმების მოსაკრებელი განისაზღვრება ისევე, რო-

გორც ადგილობრივი წარმოების მსგავსი პროდუქტისა. ქვე-კომიტეტში, განერილი პროცედურით შეთანხმების საფუძველზე, მხარეებს შეუძლიათ ორმხრივად ალიარონ პროდუქციაზე კონ-ტროლი. ამ შემთხვევაში იმპორტზე კონტროლი ჩანაცვლდება ან შემცირდება.

შეთანხმების ხელმოწერით მხარეები აფუძნებენ სანიტარულ და ფიტო-სანიტარულ ქვეკომიტეტს, რომლის მიზანია შეთანხმე-ბის შესაბამისი თავის (მეოთხე) შესრულების მონიტორინგი.

საბაჟო და ვაჭრობის სფეროებში მხარეები თანხმდებიან განახორციელონ საჯარო პოლიტიკა, ეფექტური მართვა, რათა ხელი შეეწყოს ვაჭრობას და ამასთანავე უზრუნველყონ უსა-ფრთხოება და თაღლითობის თავიდან აცილება. მნიშვნელოვა-ნია, რომ კანონმდებლობა და პროცედურები იყოს სტაბილური, არადისკრიმინაციული, მიუკერძოებელი; ჯარიმები – თანაზომადი და გადანყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი – ხელმისაწვდომი. ამასთანავე, მხარეები უზრუნველყოფენ საქონლის გატარებას დე-პოზიტის ან გარანტიების საფუძველზე; უარს ამბობენ საბროკერო მომსახურების სავალდებულობაზე. შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს საერთო სატრანზიტო სისტემაში მონაწილეობის პერსპექტივას. ასოცირების კომიტეტის საბაჟო ქვეკომიტეტის სა-შუალებით მხარეები თანამშრომლობენ ტექნიკური დახმარებისა და შესაძლებლობათა განვითარების სფეროში.

შეთანხმება განსაზღვრავს დაფუძნების, მომსახურებით ვაჭ-რობისა და ელექტრონული კომერციის რეგლამენტს და განმარ-ტავს ტერმინოლოგიასა და მოქმედების სფეროს.

მხარეები თანხმდებიან იგივე ან/და უპირატესი რეჟიმი შეუქმ-ნან მეორე მხარის კომპანიებსა და მათ შვილობილ კომპანიებს, საუთარ ქვეყანაში დაფუძნებულ შესაბამის ორგანიზაციებთან შედარებით. იგივე ეხება სერვისის მიწოდებას ძირითადი პერ-სონალის ან სტაჟიორების მიერ; ასევე, ბიზნესის გამყიდველებს, საკონტრაქტო სერვისის მიმწოდებლებსა თუ დამოუკიდებელ პროფესიონალებს. შეთანხმებით მხარეთა ლიცენზირებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები უნდა იყოს საჯარო პოლიტიკის თანაზომადი, ცალსახა, ობიექტური, წინასწარ გაცხადებული და ხელმისაწვდომი. მხარეები შეთანხმებიდან სამი თვის განმავ-



ლობაში ქმნიან საკონტაქტო ერთეულებს, რომლებიც მეორე მხარის მენარმეებსა და მომსახურების მიმწოდებლებს მიაწვდიან შესაბამის ინფორმაციას.

მხარეები თანხმდებიან, რომ სფეროს მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი მომსახურების მიმწოდებელთაგან და ხელეწიფებოდეს სფეროს ეფექტური მართვა. ბაზარზე მნიშვნელოვანი ჩარევის შემთხვევაში მარეგულირებელი საჯარო კონსულტაციებს გადის დაინტერესებულ სუბიექტებთან. მომსახურების მიმწოდებელს საშუალება უნდა ჰქონდეს მარეგულირებლის გადანყვეტილება გაასაჩივროს მხარეთაგან დამოუკიდებელ სააპელაციო ორგანოში.

მხარეთა შეთანხმება ფინანსური მომსახურების სფეროში ასევე ეყრდნობა თანაბარი პირობების პრინციპს. შეთანხმება უშვებს გონივრულ გამოწაკლისს, რომელიც საჭიროა მხარეების ფინანსური სისტემების ერთიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის. ფინანსური მომსახურების შემდგომი ლიბერალიზაციისათვის, მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს კანონმდებლობა ეტაპობრივად დაუახლოვდება ევროკავშირისას.

შეთანხმება ადგენს მხარეთა შორის სატრანსპორტო მომსახურების სფეროში თანამშრომლობის რეგლამენტს ტერმინთა განმარტებისა და სფეროთა განსაზღვრის გზით. მხარეები ერთმანეთს სთავაზობენ იმავე პრეფერენციებს, რაც მინიჭებული

აქვთ საკუთარი გადამზიდავებისთვის, ან უფრო უკეთესს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მხარეები აღიარებენ ელექტრონულ კომერციას, როგორც ვაჭრობის ზრდის შესაძლებლობას და ამ სფეროში თანამშრომლობას აფუძნებენ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტზე. ვინაიდან შესაძლებელია მესამე მხარემ კანონსაწინააღმდეგოდ ისარგებლოს საშუამავლო მომსახურებით, მხარეები შეთანხმებით განსაზღვრავენ შუამავლის პასუხისმგებლობას.

შეთანხმების ძალაში შესვლიდან საგადასახადო ბალანსის კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშთან მიმართებაში მხარეები უზრუნველყოფენ კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას იმ პირდაპირ ინვესტიციებთან, მათ შორის, უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება მიმღები მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

შეთანხმების ძალაში შესვლიდან პირველი ოთხი წლის განმავლობაში მხარეებმა უნდა მიიღონ ზომები კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე ევროკავშირის წესების შემდგომი ეტაპობრივი გამოყენებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად. შეთანხმების ძალაში შესვლიდან მეხუთე წლის ბოლოს, ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა უნდა განიხილოს მიღებული ზომები და განსაზღვროს შემდგომი ლიბერალიზაციის პირობები.

საქართველო და ევროკავშირი აცნობიერებენ გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული, კონკურენტული და ღია ტენდერის წვლილს ეკონომიკის მდგრად განვითარებაში და მიზნად ისახავენ თავიანთი შესაბამისი შესყიდვების ბაზრების ეფექტიან, ნაცვალებით და ეტაპობრივ გახსნას. ხელშეკრულება ითვალისწინებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, როგორც ტრადიციული სექტორის, ასევე კომუნალური მომსახურების სექტორის საჯარო ხელშეკრულებებისა და კონცესიებისათვის ეროვნული რეჟიმის პრინციპის საფუძველზე საჯარო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ ხელმისაწვდომობას. ასევე უნდა მოხდეს საქართველოში საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან.

ხელშეკრულება ითვალისწინებს თანამშრომლობას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში. კერძოდ ლიტერატურ-

ისა და ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებები ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახდა კანონიერად ნაწარმოები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. ტექსტის მქონე მუსიკალური ნაწარმოების დაცვის მოქმედების ვადა იწურება ავტორთაგან უკანასკნელი ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ეს პირები მითითებული თანაავტორებად;


ხელშეკრულებით რეგულირდება გეოგრაფიული აღნიშვნების აღიარება და დაცვა, რომლებიც წარმოშობილია მხარეთა ტერიტორიებიდან.

მხარეებს უნდა გააჩნდეთ სათანადო კანონმდებლობა, რომელიც არ დაუშვებს თავისუფალი კონკურენციის შემზღუდავ შეთანხმებებს, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინანტი საბაზრო მოთამაშეების ერთპიროვნულ საზიანო ქმედებას. კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს კორპორაციული შერწყმის ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვის და დომინანტი კომპანიების მიერ გავლენის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს საჯაროობა სუბსიდიების სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად, თითოეულმა მხარემ მეორე მხარეს 2 წელიწადში ერთხელ უნდა მიაწოდოს ანგარიში იმ სუბსიდიის სამართლებრივი საფუძვლის, ფორმის, ოდენობის ან ბიუჯეტის და სადაც შესაძლებელია, სუბსიდიის მიმღების შესახებ, რომელიც გაცემულია მისი მთავრობის ან ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიერ საქონლის წარმოებასთან მიმართებაში.

მხარეები აღიარებენ ტყის კონსერვაციის უზრუნველყოფის, მისი მდგრადი მართვის მნიშვნელობას და ტყის წვლილს მხარეთა ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მიღწევაში.

საქართველო და ევროკავშირი გამოთქვამენ მზადყოფნას, უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენება ბიომრავალფეროვნების კონვენციისა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამისად, რომელთა მხარესაც ქვეყნები წარმოადგენენ.

მხარეები ვალდებულნი არიან საკუთარ ტერიტორიაზე უზრუნველყონ ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებებზე, ასევე, თხევადი ბუნებრივი აირისა და სასაწყობე საშუალებებზე მესამე მხარის დაშვების სისტემის განხორციელება, რომელიც ვრცელდება ყველა მომხმარებელზე და არის გამჭვირვალე, ობიექტური და არადისკრიმინაციული.



ეკონომიკური თანამშრომლობა

ევროკავშირი და საქართველო თანხმდებიან ეკონომიკის რეფორმის მხარდაჭერაზე, რათა საქართველოში დაფუძნდეს ქმედითი საბაზრო ეკონომიკა, ევროკავშირის მსგავსი ფინანსური და ეკონომიკური რეგულაციებით. მხარეები დიალოგის რეჟიმში გაცვლიან საექსპერტო ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. მხარეები ითანამშრომლებენ სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლისა და გარე აუდიტის სფეროებში სამართლიანი, გამჭვირვალე და თაღლითობისაგან დაცული საგადასახადო სისტემის დასამკვიდრებლად. მხარეები თანხმდებიან, დიალოგის რეჟიმში მიაღწიონ აქციზური საქონლის დარგში რეგიონისა და ევროპული სტანდარტის ჰარმონიზაციას. საქართველოს ევალება ამ სფეროში ევროკავშირის საბჭოს დირექტივების შესაბამისად კანონმდებლობის ცვლილება ხელმონერიდან სამიხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ცვლილებების გრაფიკი უნდა შემუშავდეს პირველი წლის განმავლობაში. საქართველოს აქვს უფლება, შეინარჩუნოს ხელმონერის მომენტისათვის მოქმედი დამატებითი ღირებულების გადასახადი და აქციზური საქონლის სფეროში არსებული შეღავათები.

მხარეები ითანამშრომლებენ სტატისტიკის სფეროში გაეროსა და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსების სულისკვეთებით, რათა სტატისტიკის დამოუკიდებელმა სამსახურებმა უზრუნველყონ გადანაცვეტილების მიმღებნი საიმედო და დროული ინფორმაციით. ეს თანამშრომლობა გულისხმობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, რაც მომხმარებელზე ორიენტირებულს გახდის სტატისტიკურ ინფორმაციას; დაახლოებს საქართველოს სტატისტიკის სისტემას ევროპულ სტანდარტთან და გაადვილებს ინფორმაციის გაცვლას; აამაღლებს სტატისტიკის სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას. თანამშრომლობა გულისხმობს „ევროსტატის“ ევროპის სტატისტიკის სისტემის მმართველ ორგანოსთან ჩართულობასა და დარგობრივი სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლას. საქართველო ვალდებულია იღებს ევროკავშირის „სტატისტიკური მოთხოვნების შესახებ მოკლე მიმოხილვის“ შესაბამისად განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები სტატისტიკის დარგში შეთანხმების ხელმოწერიდან ხუთი წლის განმავლობაში.



თანამშრომლობის სხვა სფეროები

აღნიშნულის გარდა ასოცირების ხელშეკრულება გულისხმობს საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობას შემდეგ ოცდასამ სფეროში:

- ტრანსპორტი;
- ენერგეტიკა;
- გარემოს დაცვა;
- კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები;
- სამრეწველო საწარმოების პოლიტიკა და სამთომოპოვებითი საქმიანობა;
- კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა;
- ფინანსური მომსახურება;
- საინფორმაციო საზოგადოება;
- ტურიზმი;
- სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება;
- მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა;
- კვლევის, ტექნოლოგიების განვითარება და დემონსტრირება;
- მომხმარებელთა პოლიტიკა;
- დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
- განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა;
- კულტურის სფეროში თანამშრომლობა;
- აუდიოვიზუალური და მედია თანამშრომლობა;

- თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში;
- თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების სფეროში;
- რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე;
- სამოქალაქო თავდაცვა;
- მონაწილეობა ევროკავშირის სააგენტოებსა და პროგრამებში.



ტურიზმი

მხარეები ტურიზმს მიიჩნევენ ეკონომიკური ზრდის, დასაქმებისა და ქვეყნებს შორის მიმოსვლის ხელშემწყობ დარგად და თანხმდებიან ამ სფეროში ითანამშრომლონ ჯანსაღ კონკურენციასა და მდგრადობაზე ორიენტირებული პრინციპებით.


ამასთან გაითვალისწინებენ:

- ადგილობრივი თემების (განსაკუთრებით სოფლად) თვითმყოფადობას, საქართველოს განვითარების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს;
- კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას;
- ტურიზმსა და გარემოს დაცვას შორის ჰარმონიას

ტურიზმის სფეროში თანამშრომლობა გულისხმობს მხარეთა შორის:

- ინფორმაციის, წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაცვლას;
- ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნით ბალანსს საჯარო, კერძო და ადგილობრივი თემების ინტერესებს შორის;

- ტურიზმის ეფექტური პოლიტიკის შემუშავებასა და მის განხორციელებას, რაც გულისხმობს ტურიზმის სფეროში კადრების მომზადებასა და მომსახურების სტანდარტის გაზრდას; ტურიზმის განვითარებას ადგილობრივ თემებში; ტურისტული ნაკადების, პროდუქტების და ბაზრების, ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების და ინსტიტუციური სტრუქტურების ხელშეწყობას და განვითარებას.




სოფლის მეურნეობა

ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს ხელისუფლება მოახდენს ქვეყნის კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. შესაბამისად ასოცირების ფარგლებში მოხდება თანამშრომლობის გაღრმავება:

- სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დაახლოების კუთხით;
- ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული რესურსების გაზრდა რათა მოხდეს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ევროკავშირის რეგულაციების და მონინავე გამოცდილების მიხედვით დაგეგმვა, შეფასება და განხორციელება;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდისა და მოდერნიზების ხელის შეწყობა;
- სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური დონის ამაღლების მიზნით სოფლის მეურნეობის სფეროში ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება;
- სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობისა და ეფექტურობის ასევე ბაზარზე მოქმედი ყველა

- აქტორების გამჭვირვალობის გაზრდა;
- ხარისხის კონტროლის გაზრდა. გეოგრაფიული ინდიკატორებისა და ორგანული პროდუქციის წახალისება; ღვინისა და აგროტურიზმის მხარდაჭერა;
 - სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა ცოდნის გაღრმავება;
 - საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების ჰარმონიზება.

სოფლის მეურნეობის საკითხებზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაიმართება რეგულარული დიალოგი და ინფორმაციის გაცვლა.



ფინანსური დახმარება

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მიზნების შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ფინანსური დახმარების კომპონენტს. საქართველო ისარგებლებს ფინანსური დახმარებით, რომელიც განხორციელდება ევროკავშირის დაფინანსების შესაბამისი მექანიზმებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით. საქართველო ასევე ისარგებლებს თანამშრომლობით ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. ფინანსური დახმარების პრიორიტეტული სფეროები გაიწერება ყოველწლიურ სამოქმედო პროგრამებში, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, დაფუძნებული იქნება მრავალწლიან ფორმატზე, რაც ეხმარება შეთანხმებული პოლიტიკის პრიორიტეტებს. აღნიშნული პროგრამებით დადგენილი დახმარების თანხის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს საჭიროებების, დარგის შესაძლებლობებისა და რეფორმების პროგრესის შესაბამისად ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სფეროებში.


მხარეები მიიღებენ ეფექტურ ზომებს თაღლითობის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უკანონო ქმედების პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, რაც დაკავშირებულია

ევროკავშირის დაფინანსების გამოყენებასთან. ევროკავშირისა და საქართველოს ორგანოები რეგულარულად შეამოწმებენ, თუ რამდენად სათანადოდ ხორციელდება ევროკავშირის სახსრებით დაფინანსებული ოპერაციები.

ევროკომისია უფლებამოსილია მიიღოს მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ შესყიდვებისა და გრანტების შესახებ პროცედურები აკმაყოფილებს გამჭვირვალობის, თანაბარი მოპყრობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს, ხელს უშლის ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტს, სთავაზობს იმგვარ გარანტიებს, რომლებიც ეკვივალენტურია საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტებისა და უზრუნველყოფს სანდო ფინანსური მართვის დებულებებთან შესაბამისობას.

ევროკომისია და ევროპის აუდიტორთა სასამართლო უფლებამოსილნი არიან განიხილონ, არის თუ არა ევროკავშირის დაფინანსების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი განეული კანონიერი და ჩვეული ფორმით და რამდენად სანდო იყო ფინანსური მართვა.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი უფლებამოსილია ადგილზე ჩაატაროს შემოწმებები და ინსპექციები ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით.



ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები




ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირი და საქართველო მართავენ პოლიტიკური დიალოგს. მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგი გაიმართება ასოცირების საბჭოს ფარგლებში. **ასოცირების საბჭო** ზედამხედველობას გაუწევს ასოცირების ხელშეკრულების შესრულებას. საბჭო შეიკრიბება მინისტრების დონეზე მინიმუმ წელიწადში ერთხელ და ასევე საჭიროების მიხედვით. ასოცირების საბჭო განიხილავს ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილ ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხს და საერთო ინტერესთა სფეროში შემავალ ნებისმიერ სხვა ორმხრივ თუ მრავალმხრივ საკითხს. ასოცირების საბჭოში შევლენ ერთი მხრივ ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიის წევრები, საქართველოს მხრიდან კი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები. ასოცირების საბჭოს მონაცვლეობით უხელმძღვანელებს ევროკავშირის წარმომადგენელი და საქართველოს წარმომადგენელი. ასოცირე-

ბის საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც სავალდებულოა ორივე მხარისთვის. ასოცირების საბჭოს შეუძლია შეიმუშაოს რეკომენდაციები. ასოცირების საბჭო უფლებამოსილია განაახლოს ან შეასწოროს ასოცირების ხელშეკრულების დანართები, ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების ნებისმიერი კონკრეტული დებულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

ასოცირების ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს **ასოცირების კომიტეტის** შექმნას, რომელიც ასოცირების საბჭოს დაეხმარება მოვალეობების შესრულებაში. ასოცირების კომიტეტში შევლენ მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეები და იგი შეიკრიბება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. ასევე, მაშინ, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან, რომ სიტუაცია ამას მოითხოვს. ასოცირების კომიტეტის მოვალეობები მოიცავს ასოცირების საბჭოს შეხვედრების მომზადებას. ასოცირების საბჭოს შეუძლია ასოცირების კომიტეტს გადასცეს ნებისმიერი თავისი უფლებამოსილება, მათ შორის, უფლებამოსილება, მიიღოს სავალდებულო გადაწყვეტილებები.

ასოცირების საბჭოს კონკრეტულ სფეროებთან მიმართებით შეუძლია შექმნას **სპეციალური კომიტეტი ან ორგანო**, რომელიც აუცილებელია წინამდებარე შეთანხმების იმპლემენტაციისათვის და განსაზღვროს ხსენებული სპეციალური კომიტეტების ან ორგანოების შემადგენლობა, მათი მოვალეობები და ფუნქციები. თავის მხრივ, ასოცირების კომიტეტს, ასევე, შეუძლია ჩამოაყალიბოს **ქვეკომიტეტები** შეთანხმების V კარსა (ეკონომიკური თანამშრომლობა) და VI კარში (თანამშრომლობის სხვა სფეროები) გათვალისწინებულ რეგულარულ დიალოგებში მიღწეული პროგრესის შეჯამების მიზნით; ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საკანონმდებლო ორგანოს ჩართულობას. კერძოდ, ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში იქმნება **ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი**. იგი წარმოადგენს ფორუმს ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შეხვედრისა და აზრთა გაცვლისთვის. კომიტეტი შეიკრიბება მის მიერ განსაზღვრული



ინტერვალების შესაბამისად. საპარლამენტო კომიტეტში შევ-
ლენ ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევ-
რები. კომიტეტს მონაცვლეობით უხელმძღვანელებენ ევროპარ-
ლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები.
საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს ასოცირების საბჭოსგან
შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია წინამდებარე შე-
თანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. ამასთან, სა-
პარლამენტო ასოცირების კომიტეტი ინფორმირებული იქნება
ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების
შესახებ. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეუძლია ასო-
ცირების საბჭოსთვის რეკომენდაციების მიცემა. საპარლამენტო
ასოცირების კომიტეტს შეუძლია შექმნას საპარლამენტო ასო-
ცირების ქვეკომიტეტები.

ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესში ჩარ-
თულები იქნებიან ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომად-
გენლები. ამ მიზნით იქმნება **ევროკავშირ-საქართველოს სამო-
ქალაქო საზოგადოების პლატფორმა**. სამოქალაქო საზოგადოების
პლატფორმას შეუძლია ასოცირების საბჭოსათვის რეკომენ-
დაციების მიცემა. ასოცირების კომიტეტი და საპარლამენტო
ასოცირების კომიტეტი უზრუნველყოფენ სამოქალაქო საზო-
გადოების წარმომადგენლებთან რეგულარული კონტაქტების

დამყარებას, რათა შეიტყონ მათი მოსაზრებები წინამდებარე შეთანხმების მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით.

ასოცირების ხელშეკრულებით ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, რომ მეორე მხარის ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, თავიანთი მოქალაქეების დისკრიმინაციის გარეშე, ხელმისაწვდომი იყოს მხარეთა კომპეტენტური სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები პირადი უფლებების დასაცავად, საკუთრების უფლების ჩათვლით.

ასოცირების შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით. შეთანხმების, ან მისი IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გამოყენება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებით, რომლებზეც საქართველოს მთავრობა ჯერ ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს, დაიწყება, როდესაც საქართველოს მიერ, მის მთელ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფილი იქნება წინამდებარე შეთანხმების ან IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) სრული იმპლემენტაცია და შესრულება. ასოცირების საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როდის იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წინამდებარე შეთანხმების ან IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) სრული განხორციელება და შესრულება.

ეს შეთანხმება ძალაში შევა ბოლო რატიფიკაციის ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან მეორე თვის პირველ დღეს. თუმცა ევროკავშირი და საქართველო თანხმდებიან, რომ დროებით გამოიყენებენ წინამდებარე შეთანხმებას. ანუ, შეთანხმება სრულად, ძალაში შევა მოგვიანებით, რატიფიცირების პროცედურების დასრულების შესაბამისად.

დროებითი გამოყენება ძალაში შედის შეთანხმების დეპონიტარის მიერ ქვემოთ დასახელებული დოკუმენტების მიღების თარიღიდან მეორე თვის პირველ დღეს:

- (ა) აღნიშნული მიზნით, ევროკავშირს ეცნობება აუცილებელი პროცედურების დასრულების შესახებ, სადაც მითითებული იქნება შეთანხმების შესაბამისი ნაწილები, და
- (ბ) საქართველოს მიერ რატიფიკაციის სიგელის დეპონირება მისი პროცედურებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მოსალოდნელი შედეგები

ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) სივრცის შექმნის შესაძლებლობას. DCFTA ქართული პროდუქციის მწარმოებლებს საშუალებას მისცემს ჰქონდეს წვდომა ევროკავშირის მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე 500 მილიონიან ბაზარზე. 2012 წელს ევროკავშირის დაფინანსებით ანალიტიკურმა ცენტრებმა ECORYS-მა (ნიდერლანდები) და CASE-მა (პოლონეთი) ერთობლივად მოამზადეს შესაძლებლობათა კვლევა სათაურით „Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova“.⁴ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა შემდეგ სარგებელს მოუტანს საქართველოს:

- მთლიანი შიდა პროდუქტი გრძელვადიან პერსპექტივაში 4.3%-ით გაიზრდება;
- ქართული პროდუქციის ექსპორტი გრძელვადიან პერსპექტივაში 12%-ით აიწევს;
- იმპორტი გრძელვადიან პერსპექტივაში 7.5%-ით მოიმატებს;
- ხელფასის ზრდა გრძელვადიან პერსპექტივაში 3.6%-ით არის ნავარაუდები;
- სამომხმარებლო ფასების ინდექსი გრძელვადიან პერსპექტივაში 0.6%-ით გაიზრდება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) სივრცის შექმნით გაიზრდება საქართველოს მოქალაქეების მსყიდველობითი უნარიანობა. აღნიშნული შეთანხმება გულისხმობს ტარიფების ლიბერალიზაციას როგორც საქონლის ასევე მომსახურების სფეროებში.

⁴ http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2012/november/tradoc_150105.pdf.

აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული სარგებლის სრულად მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მოახდინოს ფიტო-სანიტარული და ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან.

ასოცირების დღის წესრიგი

2014 წლის ივლისში საქართველომ და ევროკავშირმა დაამტკიცეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც მოიცავს პერიოდს 2014-დან 2016 წლამდე, რომელშიც ასახულია ყველა ის სფერო, სადაც საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს რეფორმების განხორციელება და ასოცირების ხელშეკრულების სრულად ძალაში შესვლა (ასოცირების ხელშეკრულება სრულად ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მის რატიფიცირებას მოახდენს ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, საქართველოს პარლამენტი და ევროპის პარლამენტი).

ასოცირების დღის წესრიგი ითვალისწინებს რეფორმების განხორციელებას შემდეგ სფეროებში:

- სასამართლო რეფორმა
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ადმინისტრაციული და საჯარო სამსახურის რეფორმა
- წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა
- პროფესიული გაერთიანებების უფლებები და შრომითი სტანდარტები
- თანასწორი მოპყრობა
- ბავშვთა უფლებები
- ტერორიზმისა და მასიური განადგურების იარაღის წინააღმდეგ ბრძოლა
- კონფლიქტების გადაჭრა
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშროლობა
- პირად მონაცემთა დაცვა
- მიგრაცია და თავშესაფრის პოლიტიკა
- საზღვრის მართვა
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა
- ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა
- თანამშრომლობა სამართლებრივ საკითხებში
- საქონლით ვაჭრობა
- ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტიზაცია და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შექმნა

- სანიტარია და ფიტოსანიტარია
- საბაჟო და სავაჭრო სფეროში თანამშრომლობა
- საქონელწარმოშობა
- მომსახურებით და ელექტრონული ვაჭრობა
- კაპიტალის გადაადგილება
- საჯარო შესყიდვები
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა
- კონკურენცია
- გამჭვირვალობა
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება
- საჯარო ფინანსების შიდა კონტროლი და გარე აუდიტი
- საგადასახადო სფერო
- სტატისტიკა
- ტრანსპორტი
- ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა
- გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება
- სამოქალაქო თავდაცვა
- ინდუსტრიული და სანარმოო პოლიტიკა
- ტურიზმი
- კორპორაციული სამართალი, აღრიცხვა და კორპორატიული მმართველობა
- ფინანსური მომსახურება
- ინფორმაციულ სფეროში თანამშრომლობა
- სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება
- თევზჭერისა და საზღვაო პოლიტიკა
- კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში თანამშრომლობა
- მომხმარებლის პოლიტიკა
- დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანასწორობა
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა
- განათლება, ახალგაზრდობა და სპორტი
- კულტურის სფეროში თანამშრომლობა
- აუდიოვიზუალური და მედია სფერო
- რეგიონალური განვითარება და რეგიონთაშორისი თანამშრომლობა

მითები და მცდარი შეხედულებები ევროკავშირის შესახებ

მითი №1

ევროკავშირთან ასოცირება გულისხმობს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში არ არსებობს ჩანაწერი ქორწინების შესახებ, რომელიც მხარეებს მოუწოდებს ან ავალდებულებს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. უფრო მეტიც, ევროკავშირს თავადაც არ გააჩნია კანონმდებლობა, რომელიც მის წევრებს აკისრებს ასეთ ვალდებულებას. ქორწინების საკითხები წესრიგდება ქვეყნების საკუთარი, ეროვნული კანონმდებლობით. მაგალითისთვის, ესტონეთში, კვიპროსში, მალტაში, რუმინეთში, საბერძნეთში და სლოვაკეთში ერთსქესიანთა ქორწინება ნებადართული არ არის, ხოლო ბულგარეთმა, ლატვიამ, პოლონეთმა, უნგრეთმა და ხორვატიამ ასეთი ქორწინებები კონსტიტუციით აკრძალეს. ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნიდან ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონებულია 9 ქვეყანაში.

მითი №2

ევროკავშირთან ასოცირებით საქართველო რუსეთის ბაზარს დაკარგავს

ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველო და ევროკავშირი ერთმანეთს უხსნიან საკუთარ ეკონომიკურ სივრცეებს. შეთანხმების არცერთი ნაწილი ითვალისწინებს სხვა ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან, ვაჭრობის შეზღუდვას. გარდა ამისა, საქართველო და რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს წარმოადგენენ, რაც მათ საერთაშორისო ვაჭრობის საერთო პრინციპების ერთგულებას ავალდებულებს. ზემოთქმულის გათვალისწინებით, რუსეთს საკუთარი ბაზრის საქართველოსთვის ჩაკეტვა შეუძლია მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური გადაწყვეტილებით და საქართველოსთვის ზიანის მიყენების განზრახვით, რაც ვერ იქნება ნაკარნახევი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით. აქვე გასათვალისწინებელია,

რომ ევროკავშირის ეკონომიკა (რომლის კარებიც იხსნება საქართველოსთვის ასოცირების შეთანხმებით) თითქმის ათჯერ აღემატება რუსეთის ეკონომიკას.

მითი №3

საქართველოს მოუწევს დათმოს ეროვნული ვალუტა

ევროკავშირთან ასოცირება არ გულისხმობს საქართველოს მიერ ლარის დათმობას რაიმე ფორმით. ევროზონაში განეწიანება და შესაბამისად საკუთარი ვალუტის ევროთი ჩანაცვლება მხოლოდ ევროკავშირში განეწიანების შემდეგ არის შესაძლებელი (რასაც ასოცირება არ გულისხმობს). საქართველოს ევროკავშირში განეწიანება ამ ეტაპზე საერთოდ არ განიხილება, თუმცა ეროვნული ვალუტის დათმობა არც ევროკავშირში განეწიანების შემდეგ არის სავალდებულო. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და პოლონეთი ევროკავშირის წევრები არიან, მაგრამ დღემდე საკუთარ ვალუტას იყენებენ და არა ევროს.

მითი №4

ევროკავშირთან ასოცირების შედეგად საქართველოს მოუწევს დათმოს საკუთარი ოკუპირებული რეგიონები

ევროკავშირი არ მოითხოვს საქართველოსგან საკუთარ ტერიტორიაზე უარის თქმას რაიმე ფორმით რომელიმე ეტაპზე. პირიქით, ასოცირების შეთანხმება აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს განიხილავს, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს. შეთანხმება ხაზგასმით ამბობს, რომ იგი ემყარება მხარეთა ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის პრინციპებს. გარდა ამისა, შეთანხმება გულისხმობს საქართველოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენისთანავე მათ ავტომატურად მოქცევას ასოცირების შეთანხმების ფარგლებში.

მითი №5

ასოცირებით ევროკავშირი უარს ეუბნება საქართველოს გახდეს ევროკავშირის წევრი მომავალში

ასოცირების შეთანხმება არ ნიშნავს საქართველოს ევროკავშირში განეწიანების დასტურს და არც განეწიანების პერსპექ-

ტივაზე უარის თქმას. ასოცირებით საქართველო უახლოვდება ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტანდარტებს. ასოცირების შეთანხმება ამბობს, რომ ღიად რჩება საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობების პროგრესული განვითარების შესაძლებლობა.

მითი №6

საფრთხე შეექმნება მართლმადიდებლობას

აღმსარებლობის თავისუფლების და რელიგიური შემწყნარებლობის თვალსაზრისით ევროკავშირი მსოფლიოში წამყვან პოზიციებზეა. ევროკავშირში არიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც მართლმადიდებლობა ტრადიციულად უმრავლესობის რელიგიაა. ევროკავშირთან ასოცირება ან სხვა ფორმით დაახლოება არ გულისხმობს სარწმუნოების დევნას ან შეზღუდვას. პირიქით, იგი გულისხმობს რელიგიური თავისუფლების და რელიგიური შემწყნარებლობის პრინციპების დაცვას. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სიტყვებით: „ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ იმით, რომ საქართველო, რომელმაც გამოიარა მძიმე პერიოდი კომუნისტური რეჟიმის, დღეს მიემართება ევროპის სტრუქტურებში. ევროკავშირი არის ის ორგანიზაცია, რომელსაც კარგად იცნობს ქართველი ხალხი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველო გახდეს სრულუფლებიანი წევრი ამ დიდი ორგანიზაციის“.

მითი №7

თავისუფალი მიმოსვლა გამოიწვევს

ქართველი ახალგაზრდების გადინებას

აღსანიშნავია, რომ ასოცირება უვიზო მიმოსვლას ავტომატურად არ ნიშნავს. გამარტივებული ან საერთოდ უვიზო მიმოსვლა ამ საკითხზე მხარეთა შეთანხმებას შეიძლება დაეფუძნოს. მიმოსვლის გამარტივება დადებით გავლენას იქონიებს ახალგაზრდებისთვის განათლების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მისაწვდომობის თვალსაზრისით. კვლევების თანახმად (ECORYS/CASE) ასოცირება დადებით გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, მმართველობის სისტე-

მაზე და საქართველოს მოქალაქეთა მსყიდველობით უნარიანობაზე, რაც ემიგრაციის შეკავების უმთავრესი წინაპირობაა.

მითი №8

ქართულ იდენტობას და ტრადიციებს საფრთხე შეექმნება

საქართველოს მოქალაქეთა უმეტესობა თანხმდება, რომ ევროპული სივრცე საქართველოსთვის ახლობელი და სასურველი ღირებულებათა ერთობაა. ისტორიულად, საქართველო გამუდმებით მიისწრაფოდა ევროპისკენ. საუკეთესო ქართველი მოაზროვნეები და სახელმწიფო მოღვაწეები ცდილობდნენ ევროპასთან კავშირების გაღრმავებას, რისი თანამედროვე გამოხატულებაც არის ევროკავშირთან ასოცირება. ევროკავშირთან თანამშრომლობა ისეთ ორმხრივ ღირებულებით ამოცანებს ემყარება, როგორიცაა კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, შემწყნარებლობა, კეთილდღეობა, ადამიანისა და საზოგადოების განვითარება. ევროკავშირი და საქართველო თანხმდებიან, რომ დასაშვებია ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვაც კი, თუ ეს საჭიროა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მორალის დაცვის და წესრიგის უზრუნველყოფისთვის. ევროკავშირთან დაახლოება ნიშნავს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას, ეროვნული რესურსების გაფრთხილებას, მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე ეროვნული საგანძურის დაცვას. შესაბამისად, ევროკავშირთან დაახლოება საქართველოს ისტორიულად გამოხატული მისწრაფებაა და ხელს უწყობს ქართული ისტორიული მემკვიდრეობის, იდენტობის და ტრადიციების დაცვას და შემდგომ განვითარებას.

